ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6767530

ნომერი: AR11000843

თარიღი : 16.11.2023

გაცემის თარიღი : 08.12.2023

გაცნობის თარიღი : 12.12.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი წავკისი, აკაკი წერეთლის ქუჩა, N 2ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ილია მგელაძე პ/ნ 01024010830
- თბილისი, ნუცუბიძის I პლატო. მე 16 კორპ ბინა 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2023 წლის 16 ნოემბრის №AR11000843 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 16 ნოემბერს №AR11000843 განცხადებით მომართა ილია მგელაძემ და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 16 ივნისის

№5969954 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2022 წლის 16 ივნისის №5969954 ბრძანებით შეთანხმდა №81.02.22.264 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 16 ივნისიდან 2024 წლის 16 ივნისის ჩათვლით. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირებულია ილია მგელაძე.
წინამდებარე განცხადებით, მოთხოვნილია სამსახურის 2022 წლის 16 ივნისის №5969954 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება და დამკვეთად მიწის ნაკვეთის ძველი მესაკუთრის - ილია მგელაძის ნაცვლად მიწის ნაკვეთის ახალი მესაკუთრის - შპს თიდას (ს/ნ: 406144220) დაფიქსირება.
დღევანდელი მდგომარეობით, საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია - № 892023047078, მომზადების თარიღი: 29/09/2023 წ.) თანახმად, №81.02.22.264 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს თიდა (ს/ნ: 406144220). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B23175726; თარიღი: 04/12/2023 წ.) შპს თიდას (ს/ნ: 406144220) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს - გიორგი გოგიტიძე. შესაბამისად, არ დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე–2 ნაწილის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია. ამავე კოდექსის საფუძველზე, დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ასევე განმარტავს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად,
ვბრძანებ:
1.დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შპს თიდას (ს/ნ: 406144220) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის - გიორგი გოგიტიძის მიერ განმცხადებლის - ილია მგელაძის სახელზე გაცემული მინდობილობა, რომელიც გულისხმობს მინდობილი პირის წარმომადგენლობას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში.
2.ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2023 წლის 16 ნოემბრის №AR11000843 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.